ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობა

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 159. კვირა, 19 ივლისი 1909 წ. დამატების № 28.

ჩემი აჩრდილი

—:—

მუდამ, როცა კი „შავ-ბნელი“ დედამიწას სულს უკრთობს და იმონავებს, ის უჩუმრად, ვით მოჩვენება, საწოლზედ ჩამომიჯდება და საიდუმლოებით სავსე თვალებს ისე მაშტერებს, თითქოს სცდილობს მწუხარებით დაღლილი სახე ჩემს სულსა და გონებაში მტკიცედ აღბეჭდოს. დიდი ხანია, რაც მე მას ვიცნობ, დიდი ხანი, მაგრამ მაინც მეშინიან. საშინელებაა უფსკრულის მსგავსი მისი თვალები! მეშინიან, ვიტანჯები, მაგრამ ის ტანჯვა უტკბილესია და ამისათვის კიდეც მიყვარს, მიყვარს უზომოდ და მაინც კი მეშინიან!



ამური დაბლუმი, — ქანდაკება ვეისენფელისა.

— ჰხედავ რა ბნელია, რა სიჩუმეა, რა მარტონი ვართ? — მეჩურჩულება ათრთოლებული და თან ნაზ, ჰაეროვანს ტუჩებით ჩემს შუბლს ეხება.

— დიახ ბნელა, იმისათვის, რომ მზე ჩასულია და....

— ეგ ხომ გუშინაც მითხარ, გუშინ წინაც; მუდამ მაგას იმეორებ, მაგრამ დღეს მაინც მითხარ, შემიბრალე ვის რად უნდა უთავ-ბოლო ნათელ-ბნელი? ან ჯ უსრულებელ მწადრება სევდისაგან მთლად მიბნედილი და თან ნელ-ნელა თავს მანებებს, ნელა მშორდება. თავს მანებებს, უსამართლო, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩამქრალ აზრების ნაცვლად ჩემს გონებას სიბნელე იპყრობს; როდესაც გრძნობით დაქანცულ სხეულში ტანჯული სული ველარ ისვენებს. ვწევარ გულ-დაღმა და განშორებულს ჩემგან ჩემს სატრფოს თვალები ჩემი ბჟუტავ ვარსკვლავად გზას უნათებენ; გონება ჩემი

რე ნაღვლით აღჭურვილი ობოლი სული ვის რად უნდივარ, რისთვისა ვარ ჩემი ტანჯვით ამ მსოფლიოდ მოვლინებული? — ამას ისეთის მწუხარებით, ისეთის სევდით მეკითხება, რომ რაღაც პასუხი დამზადებული უმალ მიქრება, მთელი ჩემი არსება იმის მშვენიერ თვალების ჭვრეტით მთლად იდაგება. როგორც ზვარაკი, მჭრელ დანის წინ დასაკლავად დამზადებული, კრძალვით ღა ვუმზერ მთლად უღონო, თვალ ცრემლიანი.

— ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს ბედს, რომ შენთანაც კი, ჩემო ძვირფასო, მარტოობას, უნუგეშობას განვიცდი!... მაპატიე, ვხედავ, რომ გავიწროვებ, მაგრამ, შენც ხომ ჰხედავ, რა რიგ ვიტანჯები, ხომ ჰხედავ, სული როგორ მიშფოთავს! ვეწამები გამუთქმელად. მაპატიე, ძვირფასო ჩემო! — მეეე-

გადაყენებული შაჰი ალი-მამედ-ხანი.

დაჩლუნგებული ბებერ ძაღლსავით კრძალვით და შიშით უკან დაჰყვება. ვხედავ უბედურს, როცა ძახილით, გულ-გასაგმირ ხმით არე-მარეს წამს ევლინება... თუმცა ღამეა, ბნელი ღამე, უკუმი ბნელი... სულ შეხუთული დედა-მიწა ქედ მოხრილივით სდუმს და იმ წამს მონა რაღაც „ბნელსა“ გამოუთქმელ ჭირს გულს იტრიალებს. შორს ატყორცნილი ამაყი მთები მწუხარებით ‹ცრემლებიან; ზღვა კი ოხრავს გულ ჩათხრობილი. აგერ, მის პირად ნისლის მსგავსი ის საბრალო რა ნაირად თრთის, შორით გასცქერის, ვილაცას ელის, თან უნუგეშოდ დატოვებული გულ საკლავად სტირის, ხან მიწას ეკვრის, თითქოს ყურს უგდებს მის გულის ცემას; ხან კი ისევ ზეზე დგება და ზღვას დიადს მუდარებით რაღაზედაც ეჩურჩულება. იტანჯება დიდხანს საბრალო, რადგან ზღვა დიდი, მიყრუებული გულის თქმას ვერვით უხვდება. აგერ ახლა ტყეს მიაშურა. მწარე ქვითინით მუხას ხნიერს წინ დაუჩოქა და შეევედრა:

— მე რა ვარ, მითხარ, შემიბრალე, მუხავ ძლიერო? ასე მარტოკა რად დავძრწივარ ამ მსოფლიოდ მე უმნიშვნელოდ? აბა დახედე, სულ მარტოკა ვარ, მარტოდ-მარტო ამ ბნელ წყვდიადით გარემოცული.

მუხა ჯერ სდუმდა, ვერა ჰბედავდა ხმის ამოღებას, მაგრამ მისმა ტანჯვამ, მისმა ქვითინმა გული მოულბო, ენა აუხსნა! უცბად შეირხა, გააჟრჟოლა, გააკანკალა და შემდეგ ოდნავ, წყნარის შრიალით უნუგეშოდ ეს უპასუხა:

— შე საბრალო, ტანჯვისა შვილო! მე მეკითხები, ვინა ვარ და მარტო რადა ვარო? განა კი ვიცი, მე თვითონ რა ვარ, რისთვის მიძკერს ჩაგრული გული?. . მეც მარტოკა ვარ და ჩემს გარშემო საცოდავი ეს ხეებიცა. ნუ კი გგონია, ვხედავდეთ ვისმეს, ან ვიცნობდებთ ჩვენ ერთმანეთსა. ყველა ვაებას, მეხის გრიალს და მიწის რყევას მარტონი განვიცდით, მაგრამ არ ვიცით, როდემდის და ან რისთვის.—მუხა დადუმდა, რადგან ტყე ბნელი მის სიტყვებზე წამოქვითინდა.

— მარტო ვართ, მარტო, მუდამ მარტო დაკარგულები! — მოისმოდა ყოველი მხრიდან მათი გოდება და ის გოდება მარტოობისა საბრალო აჩრდილს ცეცხლს უკიდებდა, არ იბრალებდა. იტირა ჩუმად და ახლა მარჯვნივ მთას მედიდურს შესავედრებლად წამს მიაშურა:

— მთაო, შენ მიხსენ, შეიბრალე ტანჯული სული, შენ მაინც მითხრ, რისთვისა ვარ ქვეყანაზე მოვლინებული? მარტოდ-მარტო მყოფს მწარე სევდა, მწარე ნაღველი ჭკუაზე რადა მშლის? რა არის ქვეყანა, ვის რად უნდა რაღაც ბრძოლა უსრულებელი?

დინჯი, ცივი მთა შორს ატყორცნილი სამირისებრ მაინცა სდუმდა და თეთრი ჩადრი მწუხარებისგან მდუღარე ცრემლად ედინებოდა.

— მარტო ვარ, მარტო ამ სივრცეში აყუდებული, მაგრამ როგორც შენ, მე თვით არ ვიცი, რის გულისთვის, ვის რად უნდივარ. არავითარი მწუხარება, შენი გოდება ამ გულის კვნესას, მის სიმწარეს ვერ შეედრება და ამისათვის გთხოვ, უნაყოფოდ ნუღარას მკითხავ. მგონი მეკობრად, მხოლოდ ტანჯვა ჩემი ყოფილა! — ეს უპასუხა მთამ მედიდურმა მტკიცედ და ცივად და, სევდა გულს რომ ჩაინთქა, ისევ დადუმდა. ამ დროს ნიავიც საიდანღაც ამოზუზუნდა და, ბრმა ჩერჩეტა მთის გულ მკერდს რომ მიეხალა, გამწარებულმა კვლავინდებურად იმ მიდამოს ასე შესტირა:

— საით მივქრივარ, გზა საით არის, საით მიმწევს ბედის-წერა შფოთავი სული?!....—ეს ღა მოისმა აჩრდილის წინ გაქროლილ ქარის ზუზუნში, რადგან „უფსკრულმა“ უცებ შთანთქა მისი კვნესა, მისი წუწუნი...

მიყუჩდა არე... თითქოს „უფსკრულმა“ თვის წიაღში გაუთხარა ყველას სამარე; არსად სჩნდა კვალი, არსად იყო აჩრდილის წინ გზა გასავალი. მხოლოდ შორიდან თვალი ჩემნი ისევ ბჟუტავდნენ და იმ ნათელით ვიწრო ბილიკს ჩემსკენ უტანდნენ.

მშვენებით სავსე, მწუხარი და ნაზი დაღლილ ნაბიჯით უკან ვიდოდა და ისევ ამ გულს, პაწია ჩვილს გულს, როგორც მეგობარს, ისე ეკვროდა.

—მაინც მარტო ვარ, ვერ მოვისვენებ,—ულმობელის ხმით ჩამჩურჩულებდა და ჩემს გარშემო, თითქმის ჩემშივე იმავ სიტყვებით ნელა ჰქრებოდა.

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონერთა მიტინგი რეშტში.

ნაღების მოსახდელი მანქანა

—:—

ჩვენში ყველგან მისდევენ მერძეობას, მეტადრე თუშეთშავ-ხევსურეთში. ძროხის რძიდან კარაქს დამჟავებულ ნაღებისა ან რძიდან სდღვებენ.

ნაღების მოხდა ჩვენში ასე ხდება: რძეს ჩაასხავენ თაბხებსა ან ტასტებში და მყუდრო ადგილას დასდგავენ. ასე 12 საათის შემდეგ რძე ნაღებს ზევით პირზე მოიგდებს. ამ ნაღებს ხდიან კოვზით და თან, ცხადია, ძალიან ბევრს რძეს აყოლებენ; შიგ რძეშიაც ბლოჭადა რჩება ნაღები. ამ რიგად, რამდენსამე დღეს აგროვებენ ნაღებს, ვიდრე შესადღვებად საკმაო არ დადგება. მაშინ სდღვებავენ, ამახოხაში, უკვე მეტისმეტად დამჟავებულ ნაღებს. კარაქი მდარე ღირსებისაა, შეიცავს ბევრს ხაჭოს და მალეც მძაღდება.

მეორე წესი, ესე იგი დამჟავებულ რძიდან კარაქის შედღვება, ხომ უფრო უარესია, რადგან ვიდრე სამყოფი რძე შესდგებოდეს, იგი უკვე ფუჭდება — მეტის მეტად მჟავდება, ზოგჯერ მწარდება და ობიც კი ეკიდება. ამას გარდა, სადღვებელაც დიდია და ჯაფა სჭირდება. თიანეთის მაზრაში, ერთს ფუთ რძეს მანქანა 6-7 გირვანქა ნაღებსა ხდის. ამ ექვს გირვანქიდან დგება ორი ან გირვანქა ნახევარი კარაქი. ამ ვარაუდით, მაგ., ასს გირვანქა კარაქის მისაღებად (შედღვება), თუ მასალად «დამჟაული რძე*)» ვიხმარერ, იმდენივე სადღვებელა და ჯაფა დასჭირდება, რამდენიც შვიდ ფუთიდან მოხდილ ნაღებსა სჭირია შესადღვებად.

განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია შეუდგენენ იმის მეცადინეობას, რომ როგორმე გაეადვილებინათ კარაქის დღვება და უფრო სარფიანიც გაეხადნათ. ამისათვის რძეს ნაღებს ხდიდნენ და ნაღებიდან დღვებაჯდნენ კარაქს. ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: ნაღებს ძველად განათლებულ ქვეყნებში ისევე ხდიდნენ, როგორც ჩვენში, და ამის გამო შიგ რძეში ბევრი (თითქმის ერთი მეოთხედი) ნაღები რჩებოდა. საჭირო იყო რამე საშუალების გამოძებნა, რომ ნაღები შეძლებისამებრ სავსებით მოეხადათ. კაი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ მოიგონეს მანქანა, რომელიც ჯერ კიდევ თბილ-თბილ, ახლად მოწველილს რძეს ხდის ნაღებს და ძალიან კარგადაც ხდის.

*) თიანეთში თავისთავად დამჟავებულ რძეზე იტყვიან ასე.

ვისაც კი ჩაი დაულევია, უეჭველად შეამჩნევდა, რომ ჩაი პირზე ქაფს მოიგდებს ხოლმე, ჩაის რომ ძალიან მოურიოთ კოვზით, ეს ქაფი, თუ გაფანტული იყო, ერთად შეგროვდება და შუაგულზე, რომელიც ჩარღმავებულ-ჩაძაბრულია, მოექცევა ხოლმე. ასე დიდხანს რომ ვურიოთ, ჩაი სულ ჭიქის გვერდებს გაეკვრის და შეიძლება ჭიქის ძირიც კი გამოჩნდეს. იგივე დაემართება ჩაის, კოვზით დარევის მაგიერ, თვით ჭიქა რომ დავატრიალოთ. საზოგადოდ ცნობილია, რომ ერთმანეთში არეული მსუბუქი და მძიმე სხეული, ჭურჭლის დატრიალების დროს, მსუბუქი სხეული შუაგულს მოექცევა, მძიმე კი ჭურჭლის გვერდებს გაეკვრის. ამ დაკვირვებაზეა აგებული ნაღების მოსახდელი მანქანა.

მაშასადამე, ნაღების მოსახდელ მანქანის უმთავრესი ნაწილი ის ჭურჭელია, სადაც რძეს ნაღები მოეხდება. ეს ჭურჭელი ქვაბია. (იხ. ნახ. № 1) ამ ქვაბში რძე რომ ჩავა, რაკი ქვაბი



ნ. ხ. 1.

ჭ. — ქვაბი. ხ. — ხუფი. ნ. — ნაღების ამოსადენი ნახვრეტი. ა. და ბ. — ქვაბში ჩადგმული მოწყობილება ნაღების უკეთესად მოსახდელად. ღ. — ღერძი, მიმაგრებული ქვაბზე. შეიძლება მისი მოხსნა.

საშინელის სისწრაფით ბრუნავს (ერთს წუთს ქვაბი ბრუნავს 6000—6500 ჯერ), ხელადვე გაიყოფა — ნაღები, როგორც მსუბუქი*), მუაგულს მოექცევა, რძე კი, როგორც უფრო მძიმე,

*) ნაღები რომ მსუბუქია, იმითი მტკიცდება, რომ რძე ნაღებს ზევით, პირზე მოიქცევს ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთკენ დარჩება, ქვაბის გვერდებს გაეკვრის. ასე გაყოფილი რძე და ნაღები ცალ-ცალკე გამოჰყავს მანქანას გარედ.

ქვაბს ნაღების საუკეთესოდ მოსახდელად შიგნით სხვა და სხვა მოწყობილება აქვს. ბურმეისტერის და ვაინის ნაღების მოსახდელ ცნობილ მანქანას «პერფექტს» აქვს მეტად მარტივი ქვაბი. ქვაბი სულ ოთხი ნაწილისაგან შესდგება. (იხ. ნახ. № 1).

თუ როგორა სწარმოებს ნალების მოხდა, როგორ მუშაობს მანქანა, ეს ნათლადა სჩანს მეორე სურათიდან.



ნახ. 2.

დიდ აუზს (1) გადააკრავენ რამე სუფთა ტილოს რძის გასაწურად და რძით აავსებენ. ამოსობაში დიდ ბორბალს (12) ატრიალებენ. როცა ბორბალი ერთ წუთში 70-ჯერ დატრიალდება, აუზის ძირში გაკეთებულ ონკანს (2) მოსხნიან და რძე დაიწყებს დენას ძაბრში (3). აქედან რძე საგანგებო მილით (9) ჩავა ქვაბში (10), სადაც მას, ქვაბის ტრიალის მეოხებით, ნაღები მოეხდება, ნაღები, როგორც უფრო მსუბუქი, შუაში მოექცევა და ქვაბის ხუფის ყელში დატანებულ ნახვრეტით ავა საგანგებო თეფშზე (6) და აქედან მოდგმულ ჭურჭელში ჩავა; უნაღებო (ნაღებ მოხდილი) რძე-კი, როგორც უფრო მძიმე, გარედ მოექცევა, გაეკვრის ქვაბის გვერდებს და ბოლოს მიაღწევს საგანგებო მილს (8) და თეფშზე (7) ავა, საიდანაც მოდგმულ ჭურჭელში ჩავა. რათა ქვაბში რძე თანაბრად ჩადიოდეს, ონკანის (2) მილში შედის თავის წვეტიან თავით ტივტივა (4), რომელიც რძის პირზე დასცურავს და თუ რძე ბევრი მიაწყდება, ზევით მოიტივტივებს და ონკანს პირს დაუცობს. როცა რძე იკლებს, ქვევით დაიწევს და ონკანს ისევ მოხსნის პირს.

ამ ჯურის მანქანა ქარხანას დამზადებული აქვს სხვა და სხვა ზომისა და ფასისა. მანქანა ერთს საათში ხდის ნაღებს:

№ 00	—	5	ვედრა	რძეს	ღირს	55 მ.
„ 0	„	6	—	„	„	60
„ 1	„	8	—	„	„	70
„ 2	„	10	—	„	„	75
„ 3	„	12	—	„	„	90
„ 4	„	16	—	„	„	105
№ 5	„	20	—	„	„	135

შარშან (1908 წ.) ქარხანამ დაამზადა მანქანა უფრო რთულის ქვაბით, ეგრედ-წოდებული ვნუდზენის პატენტიანი. ეს ქვაბი დახატულია მესამე და მეოთხე, სურათებზე.

მანქანა 1 საათში ხდის ნაღებს:

№ 1	8	ვედროს	ღირს	70 მ.
№ 2	10	—	—	75 „
№ 3	14	—	—	110 „
№ 4	20	—	—	145 „
№ 5	24	—	—	160 „
№ 6	32	—	—	200 „



ნახ. 3.

ქვაბი ნაღების მოსახდელ მანქანის „პერფექტი“-სა (1908 წლისა). **რ.** — რკალი, რომლითაც ქვაბთან დამაგრებულია ხუფი. **ხ.** — ხუფი ქვაბისა. **ქვ.** — ქვაბი საკუთრივ. **მ.** — ნაღებ მოხდილ რძის გამოსადენი მილი; ეს მილი ნახატზე ორი სჩანს-მარცხნივ და მარჯვნივ; მესამე არა სჩანს. **რ. ჩ. მ.** — ნაღებ მოუხდელ რძის ჩასადენი მილი.

მანქანა ძალიან სარფაა. რადგან შემოსავალს ერთი ორად მეტს აძლევს პატრონს, ნაღებს ბევრ რძეს არ აყოლებს, ნაღებს ასუფთავებს (რადგან ჭუჭყი, როგორც უფრო მძიმე, ეკვრის ქვაბის გვერდებს). მანქანით მოხდილ ნაღებიდან კარაქის შედღვება უფრო ადვილი და სარფაა, ვიდრე ხელით მოხდილ ნაღებიდან. ამხანად ყვალგან, სადაც კი შეძლება შესწევთ, ამ მანქანებით მუშაობენ. ბორჩალოს მაზრაში ამ მანქანებით მრავალი ხალხი მუშაობს.



ნახ. 4.

ამ ნახატზე ნათლადა სჩანს, ნაღების მოხდის გასადვილებლად, ქვაბში ჩადგმული მოწყობილება. ეს მოწყობილება. შესდგება ლულა-სვეტისაგან (**ლ. ს.**), რომელსაც აქვს სამი ფრთა (**ფ.**) ფრთა და ფრთას შუა ადგილას, ქვაბის ბრუნვის დროს, ნაღები მოექცევა ხოლმე და ამ ადგილით ზევითკენ მიისწრაფის. ამ ფრთიან ლულა-სვეტს ჩამოცმული აქვს ოცდა თექვსმეტი უძირო თეფში (**თ**). თვით სახელწოდება ლულა-სვეტი ნათელ-ჰყოფს, რომ სვეტი გახვრეტილია, შუაგულს თავვდან ძირამდე გასდევს ლულა-მილი. ამ მილით რძე ჩადის ქვაბში (**რ. ჩ. მ.**). ასხმულ თეფშების შემწეობით ნაღები ძალიან კარგა ეხდება.

ამ მანქანებისა გამოწერა შეიძლება ან ქართულ სასოფლო სამეურნეო ჟურნალ «მოსავლის» საშუალებით («მოსავლის» ადრესი: Тифлисъ, Барятинская, д. № 5, ред. „Мосавали“) ან და მოსკოვიდან შემდეგის ადრესით:

Москва, Покровка, д. № 2, Бурмейстеръ и Вайнъ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი მ. დ. კიკნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.